ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №72

14 ივნისი 2024 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე, ლევან დავითაშვილი, ავთანდილ ცინცაძე, არჩილ გორდულაძე, მიხეილ კაკაურიძე.
მოწვეული სტუმარი:
საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე,ლევან მიქავა
სსიპ ქონების მაქრთვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.
1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე. **საკრ.№12-032416361-03 (11/06/24)**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. **№11-01241651287 საკრ.№12-032416361-03 (13/06/24)**
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების გადამუშავების“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.**საკრ.№12-032415132-03 30/05/24)**
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე
საკრ.№12-032415132-03 30/05/24)
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ 202887787) დაშლის / ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ. **საკრ.№12-032416495-03 12/06/24)**
6. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში მდებარე 194 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.09.008.686) და ქალაქ თბილისში, დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის ქ. №21-ის მიმდებარედ არსებული 158 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.20.01.173.503) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე” **საკრ.№12-032415139-03 (30/05/24)**
7. ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა N32-ში არსებული 16.40 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.036.022.01.530) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
საკრ.№12-032415155-03(30/05/24)
8. *,,ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3-ში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N339-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.012.006.01.028) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“*
საკრ.№12-032415158-03 (30/05/24)
9. ,,ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე’’
საკრ.№12-032415942-03 (11/06/24)

10. ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში არსებული 20.68 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036.01.218) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032415943-03 (11/06/24)**

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე". *(შანდორ პეტეფის ქუჩა).* **საკრ.№12-032415147-03 (30/05/24)**

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე". **საკრ.№12-0324144119-03 (24/05/24)**

13. ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N67-ში არსებული 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/ნ: 204854595) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.**საკრ.№12-032416339-03 (12/06/24)**

14. ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N15-ში მდებარე 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანისთვის" (ს/ნ: 445483343) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032415152-03 (30/05/24)**

15. ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.014.109) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ორიგინალი +"-ისთვის (ს/ნ: 400081095) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032415130-03 (30/05/24)**

16. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: 01030001988) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032415156-03 (31/05/24)**

17. ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.024) პირდაპირი განკარგვის წესით ირმა ღვინაშვილისთვის (პ/ნ: 01006018823) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეათანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032415156-03 (31/05/24)**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, რომლის თანახმად სხვა შემოსავლების ნაწილში იზრდება პროცენტები - 1 490,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 1 490,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 009 879,6 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის და რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 6 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) - 160,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) - 400,0 ათასი ლარით, გზების მოვლაშეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 60,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 500,0 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 336,0 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) - 200,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) ქვეპროგრამის ასიგნებები - 80,0 ათასი ლარით, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) პროგრამის ასიგნებები - 50,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 10 36) - 200,0 ათასი ლარით. ამასთან, ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების ჩამონათვალს ემატება შემდეგი ახალი პროგრამები: თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 38) - 2 000,0 ათასი ლარით, თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 39) - 1 300,0 ათასი ლარით.

მცირდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 3 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) ქვეპროგრამის ასიგნებები - 160,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 400,0 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) პროგრამის ასიგნებები - 236,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 200,0 ათასი ლარით, "მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) (კოდი 10 23) პროგრამის ასიგნებები – 700,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 24) - 2 000,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 25) - 3 000,0 ათასი ლარით.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამაში, კერძოდ: ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 3 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4881

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 809 844,7ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 200 034,9 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 739 744,7 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 918 661,8 ათასი ლარი, მათ შორის: - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 225 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 30 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი – 20 000,0 ათასი ლარი; - დამატებული ღირებულების გადასახადი – 643 661,8 ათასი ლარი.

გრანტები 508 909,9 ათასი ლარი, მათ შორის: - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 465,3 ათასი ლარი; - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 444,6 ათასი ლარი; - კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 500 000,0 ათასი ლარი; - სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 8 000,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები 312 173,0 ათასი ლარი, მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან – 14 540,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 70 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 75 000,0 ათასი

- სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 110 000,0 ათასი ლარი; - სანებართვო მოსაკრებელი - 18 194,8 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები – 24 438,2 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 009 879,6 ათასი ლარით. მათ შორის: ⎪ ხარჯები განსაზღვრულია - 1 521 210,4 ათასი ლარი; ⎪ არაფინანსური აქტივების ზრდა – 453 630,3 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 35 038,9 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 218 534,3 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 383 630,3 ათას ლარს, მათ შორის: – არაფინანსური აქტივების ზრდა – 453 630,3 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება – 70 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (200 134,9) ათას ლარს, მათ შორის: – ფინანსური აქტივების კლება – 200 134,9 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 200 034,9 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (35 038,9) ათას ლარს, მათ შორის: – ვალდებულებების კლება 35 038,9 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (165 096,0) ათასი ლარით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეკო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი- ლევან მიქავა

ლევან მიქავას მოხსენებით, წარმოდგენილია ვაკის რაიონული მოთხოვნა კვარტალური ცვლილებებზე.

კერძოდ: „გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში“(პროგ/კოდი 01 01 12) მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 400 000 ლარით.

„კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში „ (პროგ/კოდი 02 09 14) მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 525 000 ლარით, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (დახმარების) პროგრამა ვაკის რაიონში“ (პრგ/კოდი 05 01 12) – 300 000 ლარით. თანხების გადმოტანა ხდება მესამე და მეოთხე კვარტლის გეგმებიდან. ცვლილება გამოწვეულია სამუშაოების მოსალოდნელი გადაჭარბებით შესრულებიდანგამომდინარე.
დაგეგმილთან შედარებით მეტი რაოდენობის ბენეფიციარის დაფიქსირების გამო, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ითხოვს პროგრამის: „სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება“ - მეორე კვარტლის გეგმის გაზრდას 169 000 ლარით. ასევე პროგრამის „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტებით დაფინანსება“ (პროგ/კოდი 06 01 07) მეორე კვარტლის გეგმა 13 500 ლარით.
ასევე იზრდება სარეზერვო ფონდი (პროგ/კოდი 10 22) -მეორე კვარტლის გეგემა 200 000 ლარით.
იზრდება „გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 16) მესამე კვარტლის გეგმა – 300 000 ლარით, თანხის გადატანა ხდება პირველი და მეორე კვარტლებიდან.
საერთო ჯამში გადასახდელების მეორე კვრატლის გეგმა იზრდება 1 394 000 ლარით. დაბალანსება ხდება შემოსავლების ზრდისა და ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური და ვაკისა და კრწანისის რაიონული გამგეობები ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთა უმრავლესობამ გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების გადამუშავების“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.
საკითხი წარმოადგინა არჩილ გორდულაძემ.მისი განმარტებით,2024 წლის 20 თებერვალს საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს(EBRD) შორის „თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტთან“ დაკავშირებით ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას 26 000 000 ევროზე.თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს(EBRD) შორის დაიდო პროექტის მხარდამჭერი ხელშეკრულება და შპს „თბილსერვის ჯგუფს და თბილისის მუნიციპალიტეტს შორის ხელი მოეწერა პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას. ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად ფინანსთა სამინისტრო გადასცემს მუნიციპალიტეტს 26 000 000 ევროს სესხის სახით, ხოლო მუნიციპალიტეტი თავის მხრივ უზრუნველყოფს სესხის კომპანიისთვის ხელმისაწვდომობას.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეკო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

არჩილ გორდულაძის განმარტებით, 2024 წლის 15 მაისს საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს(EBRD) შორის ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით 16 000 000 ევროზე

და ასევე საგრანტო შეთანხმებაზე „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით 4 000 000 ევროზე.
ფინანსთა სამინისტრო სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით გადასცემს მუნიციპალიტეტს 16 000 000 ევროს სესხის სახით, სასესხო შეთანხმების პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ 202887787) დაშლის / ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“ (ს/ნ 202887787), რომლის დამფუძნებელი, ერთადერთი პარტნიორი და საწესდებო კაპიტალში 100%-ის მფლობელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ საქმიანობის საგანს წარმოადგენს სპეციალური ნებართვის ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევა მის მიერ დამზადებული სისხლით, მისი კომპონენტებითა და პრეპარატებით, კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევების ჩატარება და სხვ.

„ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის (15.12.2022 წ. N2387-IXმს-Xმპ) 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მოქმედი სისხლის დაწესებულება (სისხლის გადასხმის დაწესებულება/სისხლის ბანკი), რომელიც ფუნქციონირებს „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 21 მარტის კანონისა და სათანადო სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ვალდებულია 2024 წლის 1 ივლისამდე დარეგისტრირდეს ამ კანონით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, იგეგმება, 2024 წლის 1 ივლისამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (შემდგომში - ა(ა)იპ) დაფუძნება.
ა(ა)იპ-ის ძირითადი ფუნქციები, „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სამედიცინო სფეროში იქნება:
მიღებული სპეციალური ნებართვის ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევა მის მიერ დამზადებული სისხლით, სისხლის კომპონენტებით და პრეპარატებით;
სამკურნალო დახმარება;
კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევები;
სამედიცინო პროფილაქტიკა;
სამედიცინო რეაბილიტაცია;
სრულყოს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მეთოდები და პირობები, საქართველოში გამოყენებისთვის ნებადართული სამკურნალო პრეპარატების და სამკურნალო მეთოდების ფარგლებში. სააგენტოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი იქნება დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე დანიშნავს და გაათავისუფლებს, არაუმეტეს 3 (სამი) წლისა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

ამასთან, იგეგმება, შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ 202887787) ყველა აქტივისა (მათ შორის: უზუფრუქტის ხელშეკრულება, იჯარის ხელშეკრულება, მოთხოვნის უფლებები და სხვა) და ყველა პასივი ა(ა)იპ „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურისთვის“ გადაცემა.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში მოხდება შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ 202887787) დაშლა / ლიკვიდაცია.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში მდებარე 194 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.09.008.686) და ქალაქ თბილისში, დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის ქ. №21-ის მიმდებარედ არსებული 158 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.20.01.173.503) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართა შპს „სეტანტა სპორტ მედიას" (ს/ნ 400231806) წარმომადგენელმა და ითხოვა კომპანიის საკუთრებაში არსებული ქ.თბილისში დიმიტრი ბათიაშვილის ქუჩა #21- ში მდებარე 227 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01 20 01 173 504) და ქ.თბილისში წყნეთში მდებარე 168 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01 14 09 008 698) ადგილმონაცვცლეობის საკითხის განხილვა. აღნიშნული მიწის ნაკვეთები კომპანიამ შეიძინა 2021 წელს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.
დედაქალაქის ახალი გენერალური გეგმის დამტკიცებამდე კომპანიის საკუთრებაში არსევულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა სარეკერეაციო ზონა 2(რზ2), ხოლო დღეს მიწის ნაკვეთებს ადევს სატყეო ზონა, რამაც შეზღუდა მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენება . კომპანიამ ითხოვა აღნიშნული მიწის ნაკვეთების გაცვლა მომიჯნავედ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაურეგისტრირებელ უძრავ ქონებაში.
სააგენტომ უზრუნველყო მათი დარეგისტრირება და საკადასტრო კოდები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ბაგების სატყეო უბანი 194 კვმ (ს/კ 01 14 09 008 686) და დიმიტრი ბათიაშვილის ქუჩა #21- ის მიმდებარედ 158 კვმ (ს/კ 01 20 01 173 503).
ვინაიდან მიწის ნაკვეთებს შეეზღუდა სამშენებლოდ გამოყენებდა და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია გამწვანებული ტერიტორიის შენარჩუნება, მიზანშეწონილია მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა.
ამავე დროს კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ჯამური საბაზრო ღირებულება (230285ლარი) აღემატება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ჯამურ ღირებულებას (218 408 ლარი), გაცვლა ხორციელდება საპრივატიზებო საფასურის გარეშე.
მომხრე-6
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეკო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა N32-ში არსებული 16.40 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.036.022.01.530) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა N32, სართული 2-ზე არსებული 16.40 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.036.022.01.530) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ზაზა ჯანიბეგაშვილს (პ/ნ: 08001008917) ,რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე ზაზა ჯანიბეგაშვილი (პ/ნ: 08001008917) დაახლოებით 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ მოქალაქე 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
მომხრე-6
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეკო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3-ში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N339-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.012.006.01.028) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3-ში, მე-3ა მიკრო/რაიონი, კორპუს N339-ში, მერვე სართულზე არსებულ 88.74 კვ.მ ფართის ბინა N28 (საკადასტრო კოდი: N01.19.39.012.006.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ლევანი ლატარიას (პ/ნ 58001006131), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ლევანი ლატარია 1995 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე''

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქი თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები (ჯამში 141,59 კვმ ფართი) საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს (2 ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.
წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები გადაეეცემა ციალა ძველიშვილს (პ/ნ 13001055580) დაკავებული ფართი - 74.05 კვ.მ და ივანე ზარიძეს (პ/ნ 01002022203) დაკავებული ფართი - 67.54 კვ.მ;
შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ციალა ძველიშვილის და ივანე ზარიძე ოჯახებთან ერთად მითითებულ მისამართზე ნამდვილად ცხოვრობენ 2012 წლიდან.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში არსებული 20.68 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036.01.218) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5, სართული 7, ბინა N218-ში არსებული 20.68 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036.01.218) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,) საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ზურაბ გორგაძეს (პ/ნ: 18001022681) მოქალაქე ზურაბი გორგაძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე ზურაბი გორგაძე 2006-2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
მეზობლის ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ 2005 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე". *(შანდორ პეტეფის ქუჩა).*
ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია, „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N42-ში მდებარე, N01.17.10.002.306.01.07.320 და N01.17.10.002.306.01.07.317 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 29 მაისის N24.907.1024 განკარგულება. განკარგულების დანართით წარმოდგენილ პირებს საკუთრებაში გადაეცემათ აღნიშნული უძრავი ქონება. 2 პირს (ოჯახს) გადაეცემა ჯამში 132,40 კვმ საცხოვცრებელი ფართი, შემდეგი საპრივატიზებო პირობებეის შესაბამისად:

ამ ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, ქონების შემძენი უარს ამბობს **[უფლების დამდგენი დოკუმენტის , ასევე, არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების** საფუძველზე:
2.1.1 მისთვის გამოყოფილ/მიკუთვნებულ ფართებთან დაკავშირებულ საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე და აღნიშნულ უფლებას უსასყიდლოდ უთმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

2.1.2 სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ.
2.1.3 მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარდგენილ საჩივარზე/სარჩელზე.
ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ქონების იმ შემძენმა, რომლის საკუთრების უფლება ხელშეკრულების **2.1** პუნქტით გათვალისწინებული **უფლების დამდგენი დოკუმენტებით** განსაზღვრულ შესაბამის ფართზე წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დროისათვის რეგისტრირებულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, უზრუნველყოს აღნიშნულ ფართზე , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ქონების შემძენის მიერ უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემისა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ამ პუნქტით გათვალისწინებულ უძრავი ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს.
ქონების ის შემძენი, რომელსაც ამ ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის წარდგენილი აქვს განცხადება/საჩივარი/სარჩელი ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული **უფლების დამდგენი დოკუმენტებით** მისთვის გამოყოფილ/მიკუთვნებულ ფართთან დაკავშირებით, უარს ამბობს აღნიშნულ განცხადებაზე/საჩივარზე/სარჩელზე და უზრუნველყოფს აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარდგენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

მომხრე-6
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.
ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია, „ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11-ში მდებარე, N01.19.20.020.080.01.01.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 მაისის N24.812.911 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების (ს/კ N01.19.20.020.080.01.01.152) ხათუნა მათიაშვილისთვის (პ/ნ 01027012898) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება, ამავე განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად.
ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს სიმბოლური ფასით - 1 (ერთი) ლარის ოდენობით და მისი გადახდა ქონების შემძენის მიერ განხორციელდეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.
საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.
ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გადასაცემ ფართზე ქონების შემძენის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული მიბმული ვალდებულების რეგისტრაციის დღისა.
უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი რეგისტრაციის განხორციელების გზით, არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ქონების შემძენის სახელზე, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული მიბმული ვალდებულების რეგისტრაციის დღისა.
ქონების შემძენმა ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ფაქტობრივად გამოათავისუფლოს და ფაქტობრივად გადასცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N67-ში არსებული 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/ნ: 204854595) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N67-ში არსებული 18 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.17.12.009.008) განმეორებით იჯარით გადაეცემა სს „თიბისი ბანკის" აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული პანდუსის შემდგომი გამოყენების მიზნით. აღნიშნულ იურიდიულ პირს მიწის ნაკვეთი მიღებული ჰქონდა იჯარის უფლებით მის სარგებლობაში არსებულ ფართში (ს/კ: N01.17.12.009.002) პანდუსის მოწყობის მიზნით. არსებულ სარგებლობას გაუვიდა ვადა.

მოთხოვნილი 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სასახურს. აღნიშნული სამსახურები არ არიან მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგნი. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 27 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 592 (ორი ათას ხუთას ოთხმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 2027 წლის 3 დეკემბრამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2 592 ლარი

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N15-ში მდებარე 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანისთვის" (ს/ნ: 445483343) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანის" (ს/ნ: 445483343) გადაეცემა ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N15-ში მდებარე 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.042) იჯარით, 25 წლის ვადით, ღია კაფეს მოსაწყობად. კომპანიის საკუთრებაშია კოტე აფხაზის ქ. N15-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.019).

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის წერილით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 04.04.2024წ. გადაწყვეტილება (დოკუმენტი N6962589), რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა 32 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი წერილით, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი 25 წლის ვადისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 9600 ლარის ოდენობით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.014.109) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ორიგინალი +"-ისთვის (ს/ნ: 400081095) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „ორიგინალი +"-ს (ს/ნ: 400081095) განმეორებით გადაეცემა ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.11.12.014.109) , გარკვეული კონსტრუქციით გათვალისწინებული ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. აღნიშნული 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, კომპანიას იჯარით ჰქონდა მიღებული 3 წლით, სააგენტოს 27.05.2020წ. ბ61.01201481 ბრძანებით.

შპს „ორიგინალი +"-ის საკუთრებაშია მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ვეკუას ქ. N49 (საკადასტრო კოდი: N01.11.12.014.051).
წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 11100 ლარის ოდენობით, ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე-6
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: 01030001988) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.
ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ზუხრა ტატიშვილმა (პ/ნ: 01030001988) განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N47-ში მდებარე N01.16.05.021.004.01.511; N01.16.05.021.004.01.512 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული რეგისტრირებული უძრავი ქონება. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2024 წლის 15 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 7 200 (შვიდი ათას ორასი) ლარით.
წარმოდგენილი პროექტით, განიხილება ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: 01030001988) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 5 წლის ვადით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 7 200 (შვიდი ათას ორასი) ლარით.

მომხრე-6
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.024) პირდაპირი განკარგვის წესით ირმა ღვინაშვილისთვის (პ/ნ: 01006018823) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეათანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მომართა ირმა ღვინაშვილმა (პ/ნ: 01006018823) და ითხოვა ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.024) განმეორებით იჯარის გადაცემა, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით. აღნიშნული პირის საკუთრებაშია N01.10.13.012.006.01.512 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება და აღნიშნული უძრავი ქონების წინა მესაკუთრეს აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემული ჰქონდა N01.10.13.012.024 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთი კიბის მოწყობის მიზნით. არსებულ სარგებლობას გაუვიდა ვადა.
მოთხოვნილი 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ ბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი წერილით, აღნიშნული სამსახური არ არის მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი.
წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ხელაძე